პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა 4 მაისი 1941 წ. № 103 (6108) ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

1941 წლის 1 მაისის დღე მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა დიდი სამხედრო პარადებითა და მშრომელთა დემონსტრაციებით. ისინი გამოვიდნენ ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში მწყობრად დარაზმული რიგებით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებით, რომლებიც მოგვიწოდებენ ვიმუშაოთ კიდევ უფრო შეუპოვრად და ენერგიულად ჩვენი სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად.

სოციალიზმის გამარჯვებათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერება

შესანიშნავია საპირველმაისო დღესასწაულები საბჭოთა ქვეყანაში! რა თვალისმომჭრელი ბრწყინვალებით ასახავენ ისინი ჩვენი ცხოვრების სიმდიდრესა და მრავალფეროვნობას, რაოდენი მხიარული სიცილი და უსაზღვრო ბედნიერებაა ამ დღეებში! ჩვენი დღესასწაულები ყოველთვის იქცევიან სოციალიზმის გამარჯვებათა საყოველთაო-სახალხო დათვალიერებად, ისინი აღვივებენ ხალხში შეჯიბრების ჯანსაღ სულს, იმის სურვილს, რომ კიდევ უკეთესად იმუშაონ, კიდევ მეტი გააკეთონ მშობლიური ქვეყნისათვის. ჩვენი დღესასწაულები გამოსავალს აძლევენ სიხარულისა და ბედნიერების გრძნობებს, რითაც ალსავსეა გული იმ ადამიანთა, რომელნიც ხედავენ თუ წლითი-წლობით როგორ უფრო მდიდარი და ძლიერი ხდება ჩვენი სამშობლო, რომელიც სტალინის მტკიცე ხელს მიჰყავს კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

1941 წლის 1 მაისის დღე მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა დიდი სამხედრო პარადებითა და მშრომელთა დემონსტრაციებით. ისინი გამოვიდნენ ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში მწყობრად დარაზმული რიგებით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლოზუნგებით, რომლებიც მოგვიწოდებენ ვიმუშაოთ კიდევ უფრო შეუპოვრად და ენერგიულად ჩვენი სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად. ამ დღეს სოციალიზმის ქვეყნის მილიონობით მშრომელნი გვიჩვენებდნენ თავიანთ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, თავიანთ ულრმეს ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, რომლის ბრძნულ პოლიტიკასაც უნდა ვუ-

მოწმობენ იმ გრძნობებსა და განწყობილებებს, რომლებითაც შეხვდნენ წლევანდელ საპირველმაისო დღესასწაულს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელნი. კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ძლიერ გაისმის იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მშრომელთა პროტესტის ხმა. საზღვარგარეთ ყველა პატიოსანი ადამიანები ღრმა თანაგრძნობით ეკიდებიან საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას, რომელიც ომის გაფართოების წინააღმდეგ იბრძვის, ისინი ჩვენს ქვეყანაში ხედავენ მშვიდობიანობის დასაყრდენს.

ხალხთა შორის მშვიდობიანობისა და ჩვენი სამშობლოს უშიშროების განმტკიცების ბრძნულმა სტალინურმა პოლიტიკამ საბჭოთა ხალხი იხსნა ომში მონაწილეობისაგან. მიდიოდნენ რა საპირველმაისო კოლონებში, საბჭოთა ადამიანები თავიანთ ლოზუნგებში მხურვალედ მიესალმებოდნენ ჩვენი მთავრობის სტალინურ საგარეო პოლიტიკას და აცხადებდნენ, რომ მზად არიან კიდევ უფრო მეტად დასჭიმონ ძალღონე იმისათვის, რათა უზრუნველჰყონ სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის, ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერების შემდგომი ზრდა.

ტრადიციულ საპირველმაისო პარადებზე ყველა სახის იარაღით წარმოდგენილი წითელი არმია, როგორც ყოველთვის, იყო ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყურადღების ცენტრში, რომელნიც მასში ხედავენ თავისი მშვიდობიანი შრომის დასაყრდენს, სოციალიზმის დიად მონაპოვართა საიმედო დამცველს. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ბაქოში, თბილის-

წითელ მოედანზე გამართული საპირველმაისო პარადის მონაწილეთა მიღება კრემლში

მიღებას დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ა. ს. შჩერბაკოვი, გ. მ. მალენკოვი, ს. კ. ტიმოშენკო, ნ. გ. კუზნეცოვი

2 მაისს საღამოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლში მიიღეს წითელ მოედანზე გამართული საპირველმაისო სამხედრო პარადის მონაწილენი. 19 საათისათვის კრემლის დიდ სასახლეში შეიკრიბნენ ყველა გვარეობის ჯარის—ქვეითი, კავალერიის, არტილერიის, ავიაციის, ფლოტის, ჯავშანსატანკო, საინჟინრო-ტექნიკური და მეკავშირე ჯარის წარმომადგენლები. სტუმრებით გაივსო გიორგის დარბაზი, წახნაგოვანი პალატა, ვლადიმერის, მცირე და ახალი დარბაზები.

მიღებას დაესწრნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სახალხო კომისრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდლობა, საბჭოთა კავშირის გმირები, სოციალისტური შრომის გმირები, სტალინის პრემიის ლაურეატები, მეცნიერები, თავდაცვითი მრეწველობის გამოჩენილი კონსტრუქტორები.

დამსწრეთა შორის არიან: საბჭოთა კავშირის მარშლები—ბუდიონი, შაპოშნიკოვი, კულიკი, ადმირალი გალერი, არმიის გენერლები —ჟუკოვი, მერეცკოვი, ტიულენევი, გენერალ-პოლკოვნიკი ლოქტიონოვი, ამხ. შკირიატოვი, დიმიტ-

ტი ზეიმით მიესალმნენ ჩვენს მთავრობას, ჩვენს დიად პარტიას და დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

დღეს მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩვენ მოგვიწვიეს აქ, და მთელი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელით ჩვენს პირველ სადღეგრძელოს ვსვამთ იმ ადამიანს, რომელიც კაცობრიობის უდიდეს იდეებს ახორციელებს და ვინც შექმნა საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილი შეიარაღებული ძალები, ჩვენი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, — ვადღეგრძელებთ ამხანაგ სტალინს!

ყველანი ერთიანი აღტყინებით ფეხზე დგებიან. კრემლის დიდი სასახლის დარბაზების თაღებქვეშ მქუხარე ოვაცია გრიალებს.

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები განსაკუთრებული აღფრთოვანებით მიესალმებიან თავიანთ საყვარელ ბელადს, მასწავლებელსა და მეგობარს—ამხანაგ სტალინს.

შემდეგ ამხ. ტიმოშენკო მისალმების სიტყვებით მიჰმართავს საბჭოთა მთავრობას, რომელიც მტკიცედ და თანამიმდევრობით ატარებს მშვიდობიანობისა და ჩვენი დიდი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას. ამხ. ტიმოშენკო დღეგრძელობას უსურვებს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს.

1 მაისის ზეიმი მოსკოვში. სურათზე: ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, ი. ბ. სტალინი და კ. ე. ვოროშილოვი კრემლიდან მიდიან წითელ მოედანზე.

(ბილდაპარატით მოსკოვიდან. საკდეს ის ფოტო).

საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ძალთა საპირველმაისო პარადი წითელ მოედანზე მოსკოვში 1941 წლის 1 მაისს

საბჭოთა კავშირის ერთსულოვან ოჯახად გაერთიანებული 16 მოძმე რესპუბლიკის ხალხებმა მხიარულად იდღესასწაულეს საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღე — 1-ლი მაისი.

პირველი მაისის დილას მოსკოველებმა ჩვეულებრივზე უფრო ადრე გამოიღვიძეს. გაზაფხულის მზემ თავისი სხივები უხვად მოჰფინა ქალაქს. მოედნები, ქუჩები, შესახვევები ხალხით არის გაჭედილი. გრგვინავს ბრძოლის მუსიკა, ხალისიანი სიმღერები.

...მოსკოვის გული — წითელი მოედანი. სადა და დიადია მისი საპირველმაისო მორთულობა. კრემლის კედლის პირდაპირ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შენობის ფრონტონზე გამოკიდულია ლენინისა და სტალინის დიდი პორტრეტები. უზარმაზარ დროშას აწერია ლოზუნგი — „გაუმარჯოს 1-ლ მაისს — მუშათა კლასის რევოლუციურ ძალთა საბრძოლო დათვალიერებას!“ რუსულ, ესპანურ, გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ჩინურ ენაზე მეორდება კომუნისტური მანიფესტის უკვდავი სიტყვები: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

საპირველმაისო პარადის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე აივსო ტრიბუნები. აქ შეიკრიბნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, წითელი არმიის გენერალიტე-

ხანაგ სტალინის მეთაურობით. აღტაცებული ოვაცია რამდენიმე წუთს გრძელდება.

სრულ 12 საათზე კრემლის მაცხოვრის კარიდან ცხენზე მჯდომი გამოდის სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის გმირი და მარშალი ამხ. ს. კ. ტიმოშენკო. მიიღებს რა პარადის სარდლის, არმიის გენერლის ი. ვ. ტიულენევის პატაკს, მარშალი შემოუვლის ჯარს. ამხ. ტიმოშენკო ულოცავს წითელარმიელებს, წითელფლოტელებსა და მეთაურებს 1-ლი მაისის დღესასწაულს. პასუხად ჰქუხს მძლავრი წითელარმიული და წითელფლოტური „ვაშა“.

ჯარის შემოვლა დამთავრებულია. ამხ. ს. კ. ტიმოშენკო ტრიბუნაზე ადის და სიტყვას წარმოსთქვამს. წითელ მოედანზე მყოფნი, ხოლო მათთან ერთად მთელი დედაქალაქი, სოციალიზმის მთელი დიდი ქვეყანა შეუნელებელი ყურადღებით ისმენენ ამხ. ტიმოშენკოს დამშვიდებულ და გულდაჯერებულ სიტყვას.

სიტყვა დამთავრდა. მქუხარე „ვაშა“ და მძლავრი ოვაცია არღვევენ საზეიმო სიჩუმეს. ნაკრები ორკესტრი „ინტერნაციონალს“ ასრულებს. გრიალებს ქვემეხების სადღესასწაულო სალუტი.

იწყება მოსკოვის გარნიზონის ნაწილების საზეიმო მარში. წითელი არმია დღეს სსრ კავშირის და მთელი მსოფლიოს მშრომელებს

დანაყოფს მეთაურობს ცნობილი მეცნიერი არტილერისტი, აკადემიის მიერ აღზრდილი, ამჟამად მისი პროფესორი, არტილერიის გენერალ-მაიორი ბლაგონრავოვი. იგი სტალინის პრემიის ლაურეატთა სახელოვანი პლეადიდან ერთერთია, რომელმაც უმაღლესი ჯილდო მიიღო იარაღის ავტომატიზაციის დარგში გაწეული მუშაობისათვის. ძერჟინსკის სახელობის აკადემიის კოლონაში არის საბრძოლო ორდენებით დაჯილდოებული ბევრი მეთაური, სტალინის რამდენიმე ათეული სტიპენდიანტი, წითელი არმიის წარჩინებულნი.

იშვიათი სილამაზის მწყობრად მიდის წითელი არმიის ი. ბ. სტალინის სახელობის მექანიზაციისა და მოტორიზაციის აკადემია. აკადემიის მეთაურთა ფაკულტეტის მსმენელებს შორის არის საბჭოთა კავშირის 21 გმირი და 72 ორდენოსანი.

საზეიმო მარშით მოდიან წითელ მოედანზე ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, კ. ე. ვოროშილოვის სახელობის ქიმიური დაცვის სამხედრო აკადემიის, ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის სამხედრო-სავეტერინარო აკადემიის, სამხედრო-იურიდიული აკადემიის მსმენელები. დარაზმულ მწკრივად მიდიან წითელი არმიის უმაღლეს სასწავლებელთა მოს-

საბჭოთა ხალხის შეიარაღებულ ძალთა საპირველმაისო პარადი წითელ მოედანზე მოსკოვში 1941 წლის 1 მაისს

(დასასრული)

ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებლის და სხვა სამხედრო-საზღვაო სასწავლებელთა საუკეთესო ქვედანაყოფები, რომლებმაც საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს, მოდიან სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფრიადოსნები.

ტრიბუნებიდან ერთსულოვნად მიესალმებიან ახალგაზრდა მეზღ...

...ტომექანიზებული ნაწილები. მრისხანე ტექნიკით აღჭურვა საბჭოთა ხალხმა სტალინურ ხუთწლედთა მანძილზე თავისი მშობლიური წითელი არმია. საბრძოლო ძლიერების, საომარი ტექნიკის მძლავრი მარშის შესანიშნავ დემონსტრაციას წარმოადგენდა საპირველმაისო პარადი წითელ მოედანზე. მოტომექანიზებულ ნაწილთა სვლა დაიწყეს მეტყვიამფრქვევე-მოტოციკლისტებმა. ეს არის თავისებური...

...თა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება.

XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი, რომლებშიც განსახიერებულია ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ნება-სურვილი, მთელი საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი, წარმოადგენენ იმის საიმედო იარაღს, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ...

...წითელ მოედანზე შემოდიან მო-...

...ცენ ყოველ მტერს. (საქდესი).

> 5 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ შინსახკომის კლუბში (ბესიკის ქ. № 4) საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი იწვევს
>
> **პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტივის საერთო-საქალაქო კრებას ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან და მუშკორთა აქტივთან ერთად, მიძღვნილს ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი.**
>
> დღის წესრიგშია გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის ამხ. ვ. ხატიაშვილის და გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის ამხ. ვ. გრიგორიანის მოხსენებები.
>
> შესვლა მოსაწვევი ბარათებით, რომლებსაც ანაწილებენ პარტიის რაიკომები.
>
> **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტი.**

თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის, ს. კ. ტიმოშენკოს სიტყვა

წითელ მოედანზე მოსკოვში 1941 წლის 1 მაისს

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, მფრინავებო, მეთაურებო, პოლიტმუშაკებო, მუშებო, კოლმეურნეებო და ინტელიგენტური შრომის მუშაკებო!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის დავალებით მოგილოცავთ საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს — 1 მაისს.

ამხანაგებო!

...

მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა.

1941 წელს არ უნდა იყოს არც-ერთი ჩამორჩენილი საწარმო. პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ღირსების საქმე უნდა იყოს სამრეწველო მოწყობილობის სრულად გამოყენება, ბრძოლა თვითეულ საამქროში, თვითეულ ბრიგადაში გეგმის ყოველდღიურად შესრულებისათვის. ბოლო უნდა მოვუღოთ სამუშაოს...

...

...ღიად მესაჭეს, ჩვენს სტალინს!

გაუმარჯოს ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის ხალხებს!

გაუმარჯოს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

დემონსტრაციაში 1.800.000 მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა

13 საათსა და 50 წუთზე წითელ მოედანზე ერთსა და იმავე დროს შემოდიან დედაქალაქის 12 რაიონის დემონსტრანტთა პირველი კოლონები. იწყება მოსკოვის მშრომელთა საზეიმო სვლა.

პირველი მაისის დღესასწაული 1941 წელს ტარდება რთულსა და ისეთს საერთაშორისო ვითარებაში, რომელიც მრავალ მოულოდნელსა და შემთხვევითს მოვლენას გვიქადის. დემონსტრაციამ კიდევ და კიდევ დაგვანახვა, რომ ჩვენი სამშობლოს მშრომელ...

...მონსტრაციაზე თავდაცვითს მუშაობაში მოპოვებული მიღწევების მაჩვენებლები.

მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ახალ-ახალი საწარმოო წარმატებით შეჰგებებოდნენ საპირველმაისო დღესასწაულს. მილიონობით ადამიანები იღებდნენ მონაწილეობას საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საწარმოთა კოლონების წინ მიდიან ამ შეჯიბრების მოწინავენი, რომელთაც საპატიო...

...თხზულებათა — ყველა მეცნიერებათა მეცნიერების ამ უდიდესი საგანძურის, ყველაზე მოწინავე, მსოფლიოს გარდამქმნელი თეორიის — სრული კრებულის მე-4 გამოცემის მაკეტი.

უზარმაზარ პლაკატზე არის ამხანაგ სტალინის ბარელიეფი და ყველა საბჭოთა მეცნიერის აზრისა და გრძნობის გამომხატველი სიტყვები:

„სტალინი ჩვენი დროშაა. გაუმარჯოს მეცნიერების კორიფეას — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს —...

...

1 მაისის დღე საზღვარგარეთ

ა. შ. შტატებში

ნიუ-იორკი, 2 მაისი (საკდესი). 1 მაისს ნიუ-იორკში, იუნიონსკვერში შესდგა დიდი საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდა 100 ათასზე მეტი კაცი. დემონსტრაცია მიმდინარეობდა ლოზუნგებით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის. დემონსტრაცია 5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. მასში მონაწილეობა მიიღეს მრავალი ეროვნების მუშებმა, აგრეთვე ინტელიგენციამ, ქალებმა და ახალგაზრდობამ. ქუჩებში დემონსტრაციის გავლის დროს ტროტუარებზე იდგა მრავალი ათასი ადამიანი, რომლებიც სიმღერებს მღეროდნენ და საპირველმაისო ლოზუნგებს წარმოსთქვამდნენ.

ინგლისში

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). ლონდონის ჰაიდ-პარკში 1 მაისს გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 5 ათასმა კაცმა. დემონსტრანტებს შორის იყვნენ დიდძალი ახალგაზრდობა და ჯა-...

...ლიტი, აგრეთვე ლეიბორისტი პრიტი, რომელმაც სახალხო კონგრესის ნაციონალური საბჭოს სახელით ილაპარაკა.

სხვა ორატორებს შორის იყვნენ ქალიშვილები—სამხედრო ქარხნების მუშა-ქალები.

ჩინეთში

ჩუნცინი, 2 მაისი (საკდესი). გუშინ ჩუნცინში ფაბრიკებისა და ქარხნების წარმომადგენელთა კრებები შესდგა, რომლებიც 1 მაისს მიეძღვნა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში

ნიუ-იორკი, 2 მაისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო მექსიკოდან იუწყება, იქ გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც მექსიკის მუშათა კონფერენციამ მოაწყო. პროფკავშირთა ხელმძღვანელების ცნობების თანახმად, დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა 100 ათასი კაცი.

იმავე სააგენტოს გადმოცემით ვერა-კრუს საქალაქო დარბაზში (მექსიკა) შესდგა 1 მაისისადმი მიძღვნილი მასობრივი მიტინგი.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, მონტევიდეოში (ურუგვაი) პარლამენტის შენობის მახლობლად 20-ათასიანი საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართა.

ბუენოს-აირესში (არგენტინა) 1 მაისს მუშაობა შესწყვიტეს მეზღვაურებმა და ნავსადგურის მუშებმა. რკინიგზელებმა, ტრამვაისა და ავტობუსების მუშებმა მუშაობა 10 წუთით შესწყვიტეს. ქალაქში 21 ადგილას გაიმართა საპირველმაისო მიტინგები, რომლებსაც...

...საპირველმაისო დემონსტრაცია შესდგა. დემონსტრანტები ქალაქის ქუჩებით ცენტრალური პარკისაკენ გაემართნენ. საღამოს მუნიციპალურ თეატრში დიდი საპირველმაისო კონცერტი შესდგა, რომელზედაც შესრულებულ იქნა პროლეტარული სიმღერები.

1 მაისს მთელს კოლუმბიაში დემონსტრაციები და მიტინგები გაიმართა. ბოგოტაში დემონსტრაცია ქალაქის ცენტრში მოეწყო. პარკებსა და ქალაქის გარეუბნებში მუშათა მაისობა გაიმართა.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი კოზლოვი საპირველმაისო პარადს ღებულობს ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.
(საქდესის ფოტოქრონიკა)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ Ლ. Პ. ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ. ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲖᲔ (ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲜᲘᲓᲐᲜ): ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲘ Დ. ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲘ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘ: Ქ. ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, Ვ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ Ფ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲡᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ახალი მიღწევებით, ახალი გამარჯვებებით შეხვდა ჩვენი ქვეყანა პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაულს — 1 მაისს. ამ მიღწევათა და ახალ საწარმოო გამარჯვებათა მაჩვენებლებით გამოვიდნენ ქუჩებში სადემონსტრაციოდ თბილისის მშრომელნი. [illegible]

[illegible] ოთხკუთხედებად დაწყობილი ჯარის ნაწილებით სავსე მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა. ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ალაყაფის კარიდან ცხენით გამოვიდა ა.-კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ამხ. კოზლოვი. სარდალმა მიიღო პარადის სარდლის, თბილისის გარნიზონის უფროსის გენერალ-ლეიტენანტის ამხ. ბატოვიპატაკი და დაიწყო ნაწილების მოვლა.

სარალი მიესალმებოდა პარადის მნაწილეებს და მიულოცავდა პროლეტარიატის საერთაშორისო [illegible]

[illegible] ლტურელებს უკან მოჰყვებოდნენ ფიზკულტურელთა მწყობრი, ამაზდოზიანი კოლონები. მიდიოდნენ ისინი ტრიბუნის წინ და ფიზკულტურული შეძახილებით ხვდებოდნენ ტრიბუნიდან გამოძახილ მისასალმებელ ლოზუნგებს.

ფიზკულტურელთა კოლონები სახელოსნო სასწავლებლების მოწაფეთა კოლონებმა და პიონერებმა შეცვალეს. ბელადების პორტრეტებით, ათასნაირი ფერადი პლაკატებით, ყვავილებით, მშვიდვლად მორთული ავტომობილებით მიდიოდნენ პიონერები ტრიბუნის წინ. [illegible]

[illegible] ვის, მოლოტოვის და 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელნი.

შუადღე უკვე გადასული იყო, დემონსტრაცია რომ დამთავრდა. მეოთხედ მილიონამდე მშრომელი იყო გამოსული ამ დღეს, საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

2 მაისს თბილისის პიონერებს, მოსწავლეებს და ოქტომბრელებს დიდი და დაუვიწყარი ზეიმი ჰქონდათ. ამ დღეს, ქართველი ხალხის საამაყო შვილისა და ჩვენი ბავშვების საუკეთესო მეგობრის **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** ინიციატივით თბილისის პიონერებმა, [illegible]

[illegible] **ლენინი, კაგანოვიჩი, ანდრეევი, ჟდანოვი, მიქოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, ვოზნესენსკი, ჩუბარკოვი, მალენკოვი** და ამხანაგები—**ჩარკვიანი** და **ბაქრაძე**.

პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის ამოცანებისა და დანიშნულების შესახებ საზეიმო [illegible]

[illegible] აღნიშნა ის დიდი ამაგი, რაც ამ სასახლის მოწყობასა და გახსნაში მიუძღვის ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხ. **ლავრენტი ბერიას**, რომელსაც უმადლიან ჩვენი პიონერები, მოსწავლეები და ოქტომბრელები ამ ძვირფასი საჩუქრის — პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლის მიღებას.

ორდენოსანი სტუდენტის ე. გვანცელაძის წინადადებით საზეიმო სხდომის საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად, ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით აირჩიეს ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** და მისი უახლოესი თანამებრძოლები — **მოლოტოვი, ვოროშილოვი, კა**[illegible] და მისი თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ბერიას** პატივსაცემად.

ამ წინადადებას ერთსულოვანი აღფრთოვანებით მიიღებს შემდეგ, მიღებულ იქნა მეორე წინადადებაც ამხანაგ **ლავრენტი ბერიასათვის** მისასალმებელი დეპეშის გაგზავნის შესახებ. მისასალმებელი დეპეშის წაკითხვას პიონერები ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით შეხვდნენ.

ამით დამთავრდა საზეიმო სხდომა. შემდეგ გაიმართა ბავშვთა თვითმოქმედების მრავალფეროვანი და საინტერესო საღამო.

Ა. Მ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ-ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

გუშინ, 3 მაისს, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დარბაზში გაიხსნა ა. მ. გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის გამსვლელი სესია, რომელსაც სესიის მონაწილეთა გარდა ესწრებიან: თბილისის სამედიცინო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პროფესორები, დოცენტები, მეცნიერ-მუშაკები, ექიმები.

სესია მოკლე სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა ამხ ს. მაჭავარიანმა. საპატიო პრეზიდიუმში ხანგრძლივი, მქუხარე ტაშითა და ოვაციით ირჩევენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** მეთაურობით და ამხანაგებს ქ. ჩარკვიანს და ვ. ბაქრაძეს.

სესიის მონაწილენი ერთსულოვანი აღფრთოვანებით უგზავნიან მისასალმებელ დეპეშებს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს** და ამხანაგებს **ვ. მ. მოლოტოვს და ლ. პ. ბერიას**.

გამსვლელი სესიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. გ. ფიცხელაურმა.

ა. მ. გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის დირექტორმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ნ. გრაშჩენკოვმა სესიის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო აქტუალური პრობლემები, რომელიც დასმულია სესიის დღის წესრიგში და რომელთა გადაწყვეტა სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს დიდ სარგებლობას მოუტანს.

პროფ. ნ. გრაშჩენკოვის სიტყვის შემდეგ სესიამ მოისმინა მოხსენებები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ა. ვიშნევსკისა (მოსკოვი) — „ნერვული ტროფიკა ქირურგიაში“, პროფ. ო. გარტოხისა (ლენინგრადი) — „დიზენტერიის პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა“ და პროფ. ს. პოსპელოვისა (მოსკოვი) — დიზენტერიის კლინიკისა და მკურნალობის შესახებ.

ამით დამთავრდა სესიის პირველი სხდომა. სესიის მორიგი სხდომა შესდგება დღეს, საღამოს 8 საათზე, საქ. მედსანშრომის კავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბში.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲔᲥᲘᲛᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ

ა. მ. გორკის სახელობის ექსპერიმენტული მედიცინის სრულიად-საკავშირო ინსტიტუტის გამსვლელი სესიის მონაწილენი 4-დან 9 მაისამდე სპეციალისტი ექიმების [illegible] თან და ღიზენტერიასთან ბრძოლის საკითხე.

პროფესორი ს. ხარიტონოვი, დ. რუბინშტი და ნ. პოზნანსკაია ეთათბირებიან თბილისელ [illegible]

პროფ. პ. პეტრიშჩევა საქ. ჯანსახკომის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისათვის მოაწყობს თათბირს ტროპიკულ [illegible]

ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲠᲝᲡᲛᲐᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა სსრ კავშირის ჭადრაკის გროსმაისტერის სახელწოდება მიანიჭა სმისლოვს, რომელმაც ორჯერ დაიკავა მესამე ადგილი უდიდეს საჭადრაკო შეჯიბრებებში — XII სრულიად-საკავშირო ჩემპიონატში და მატჩ-ტურნირში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელწოდებაზე. (საკდესი).

1 მაისის ზეიმი თბილისში. პარადი და დემონსტრაცია ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება ინგლისის მთავრობის შემადგენლობაში მომხდარი შემდეგი ცვლილების შესახებ. ბივერბრუკის ნაცვლად საავიაციო მრეწველობის მინისტრად დანიშნულია მურ-ბრაბაზონი. ბივერბრუკი რჩება მინისტრად, მაგრამ ხელმძღვანელობას არ გაუწევს რაიმე უწყებას. სავაჭრო ნაოსნობისა და ტრანსპორტის სამინისტროები გაერთიანდებიან და ამ გაერთიანებულ სამინისტროს, რომელსაც საომარი დროის მიმოსვლის სამინისტრო დაერქმევა, სათავეში ჩაუდგება ლეზერსი. სავაჭრო ნაოსნობის ყოფილი მინისტრი კროსი ინიშნება უმაღლეს კომისრად ავსტრალიაში. ტრანსპორტის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად ინიშნება ლევენინი, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად ინიშნება მონტეგიუ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). ინგლისის კაბინეტის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებასთან დაკავშირებით, პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ბივერბრუკი ჩერჩილის მოადგილის როლს შეასრულებს საშინაო და პროპაგანდის საკითხებში. ამრიგად, ჩერჩილს შესაძლებლობა მიეცემა მეტი ყურადღება დაუთმოს ომის ხელმძღვანელობას. ზოგიერთ წრეებში გამოსთქვამენ მოსაზრებას, რომ ბივერბრუკის პირველი ამოცანა იქნება ტანკების წარმოების დაჩქარება.

ნაოსნობისა და ტრანსპორტის გაერთიანებულ სამინისტროთა ახალი მინისტრი ლეზერსი 51 კომპანიის დირექტორია. ამ კომპანიების უმრავლესობა ჰფლობს ქვანახშირის შახტებს, გემსაშენებს, აგრეთვე ქვანახშირის სადგურებს მსოფლიოს მრავალ ნაწილში. ლეზერსი არის ვილიამ კორის ცნობილი საქვანახშირო კომპანიის თავმჯდომარის მოადგილე, აგრეთვე კორის მრავალი ფილიალური საწარმოს დირექტორი, მათ შორის სანაოსნო ხაზებისა, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ ინგლისს, სუდანს, კვიპროსს, სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკას, პორტუგალიას, კანარის კუნძულებს, ჰოლანდიას, საფრანგეთს, ბელგიას, სამხრეთ-ამერიკას და გიბრალტარს. ლეზერსი არის აგრეთვე ცემენტის ორი დიდი კომპანიის დირექტორი.

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲔᲕᲐᲙᲣᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლის მოადგილე ბლემის განცხადებას, სადაც ნათქვამია, რომ დამთავრდა ინგლისის ჯარის ევაკუაცია საბერძნეთიდან. სულ ევაკუირებულია 43 ათასი კაცი. თვით ევაკუაციის დროს მსხვერპლის საერთო რაოდენობა 500 კაცს არ აღემატება. დაახლოებით 3 ათასი ჯარისკაცი, მათ შორის ავსტრალიელი ჯარისკაცების ერთი ნაწილი, პელოპონესის სანაპიროზე და სხვა ადგილებში დარჩა, რადგან ისინი მოწყვეტილ იქნენ გერმანელების მიერ. ბლემი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ არის ზუსტად გამორკვეული, რამდენი დაჭრილი დარჩა საბერძნეთის ჰოსპიტლებში და რა დანაკლისი იყო ევაკუაციამდე.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲖᲔ

ლონდონი, 1 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ვაჭრობის სამინისტრომ და ეკონომიური ომის სამინისტრომ გამოაცხადეს, რომ მთელი საბერძნეთი, კრეტის კუნძულის გამოკლებით, განხილულ უნდა იქნას, როგორც მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებული ტერიტორია. ამრიგად, საბერძნეთზე ვრცელდება ინგლისის ბლოკადა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲔᲕᲐᲓ

ნიუ-იორკი, 2 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მთავრობის საზღვაო კომისიას განზრახული აქვს მოახდინოს ამერიკის 50 ტანკერის მობილიზაცია იმ მიზნით, რომ, ინგლისისათვის განკუთვნილი ნავთი სამხრეთ ამერიკიდან გადმოზიდოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, საიდანაც იგი ინგლისის გემებით გაიგზავნება ინგლისს.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ ᲘᲜᲓᲝᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

კაბული, 1 მაისი (საკდესი). როგორც ინდოეთის გაზეთი „ტრიბიუნი“ 18 მარტის ნომერში იუწყება, ალიპურის საპყრობილის 170 პოლიტპატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ინდოეთში პოლიტპატიმარნი ცუდ პირობებში ჰყავთ. მაგალითად, დეოლის საპყრობილეში (ჯაიპურის სამხრეთით) თითქმის ყველა პატიმარი ავად არის მალარიით. პოლიტპატიმრებს ნება ეძლევათ მხოლოდ ერთი წერილი მიიღონ თვეში. ერთი საპყრობილიდან მეორეში გადაყვანისას მათ ხელბორკილს ადებენ.

გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“ იუწყება, რომ ტანის საპყრობილეში (ბომბეის ჩრდილოეთით) მყოფმა 38 პოლიტპატიმარმა ცუდი კვების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად სამ დღეს იშიმშილა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲘᲑᲠᲐᲚᲢᲐᲠᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ბერლინი, 30 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ გადმოგვცემს ცნობას გიბრალტარის მდგომარეობის შესახებ.

ქალაქში კანადელი მაღაროელები მუშაობენ. ისინი მიწის ქვეშ ქუჩების სისტემებს აგებენ, რომლებსაც ექნებათ რამდენიმე მაღაზია, 2 ლაზარეთი, ჯარისკაცთა დუქნები, დასასვენებელი ოთახები, ხელისუფალთა სადგომები და ანობით ყუმბარსაფარები. ამასთან ერთად მიწისქვეშ ღრმად აგებენ საწყობებს, რომლებშიაც შეინახავენ სხვადასხვაგვარ მარაგს, მათ შორის სურსათის მარაგსაც, აგრეთვე წყლით სავსე დიდძალ რეზერვუარებს. აღებულია რამდენიმე ათეული სახლი, რომლებიც ხელს უშლიდნენ არტილერიის დადგმას.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ

ბერლინი, 3 მაისი (საკდესი). ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, რომ ერაყის პრემიერის რაშიდ ალი ჰაილანის ბრძანებით, ერაყის ჯარი ფრონტისაკენ დაიძრა. სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ ერაყის ჯარმა გადასჭრა კირკუკ-ჰაიფის ნავთსადენი, რომლითაც ნავთი მიდიოდა ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტისათვის.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡ-ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲛᲘ

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 2 მაისს ღამით, გერმანიის ავიაციამ გააფთრებით დაუშინა ყუმბარა მდინარე მერსეის რაიონს (ჩრდილოეთ-დასავლეთი ინგლისი) გამოწვეულია დიდი მატერიალური ზარალი. ჰფიქრობენ, რომ მსხვერპლი დიდია. გარდა ამისა, გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა აღმოსავლეთ ინგლისის ერთერთ ქალაქს, სადაც დანგრეულია მრავალი შენობა და არის მსხვერპლი.

ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი.

2 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაცია წარმატებით დაესხა თავს ჩრდილო-დასავლეთ გერმანიას, მათ შორის ჰამბურგს.

ბერლინი. 3 მაისი (საკდესი). საინფორმაციო ბიუროს ცნობით, წუხელ გერმანიის თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს ლივერპულს, რამაც ბევრგან დიდი ხანძარი და სერიოზული ნგრევა გამოიწვია. გარდა ამისა, გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ინგლისის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროს სანავსადგურო და სამრეწველო ქალაქებზე.

2 მაისს, ღამით, ინგლისის ავიაციის მნიშვნელოვანი ძალები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ გერმანიას. საზენიტო არტილერიის ინტენსიურმა ცეცხლმა მტერს ხელი შეუშალა სერიოზული ნგრევა მოეხდინა. ჩამოგდებულია ინგლისის 3 თვითმფრინავი.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 1 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის ცნობას. საბერძნეთში, — ნათქვამია ცნობაში, — გერმანიის ჯარი განაგრძობს სამხრეთ პელოპონესის გაწმენდას ინგლისის, საბერძნეთისა და სერბიის ჯარების დაქსაქსული ნაწილებისაგან. სუდის ყურის რაიონში (კრეტის კუნძული) თავდასხმების დროს გერმანიის თვითმფრინავებმა დააზიანეს დიდი ტანკერი და 2 დიდი სავაჭრო გემი.

გერმანიისა და იტალიის მოპიკირე ყუმბარმშენებმა ტობრუკის ნავსადგურში ჩასძირეს 5 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის სავაჭრო გემი და დიდი ნგრევა და ხანძარი გამოიწვიეს ტობრუკის გარშემო არსებულ სიმაგრეებში. მზვერავმა თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის რადიოსადგურს, საველე ნაგებობებს, აგრეთვე თავმოყრილ ავტომანქანებსა და ჯავშნიან მანქანებს.

წუხელ გერმანიის ყუმბარმშენები და მოპიკირე თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ ლა-ვალეტის ნავსადგურს მალტის კუნძულზე. 1 მაისს დილით კუნძულზე მომხდარი საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულ იქნა ინგლისის „ჰარიკეინის" ტიპის 3 ავიაგამანადგურებელი.

გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა 7 ათასი სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის გემი. გერმანიის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა ინგლისის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ნაგებობებს. 30 აპრილს ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩასძირეს მტრის 1.000 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვის სატვირთო გემი და დააზიანეს 2 სხვა სატვირთო გემი და 1 საესკადრო ნაღმოსანი. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს გემები ჩაძირულია.

30 აპრილს ღამით ინგლისის ავიაციის მნიშვნელოვანმა ძალებმა ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები ჩამოჰყარეს ჩრდილოეთ გერმანიის სხვადასხვა პუნქტში და ბერლინის მიდამოებში. სამხედრო ობიექტები არ დაზარალებულა.

ბერლინი, 2 მაისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც საბერძნეთში მოქმედებენ, დაამთავრეს პელოპონესის ოკუპაცია. ტყვედ წაყვანილ ინგლისელთა რიცხვი 8.200 კაცს აღწევს. გერმანიის ტანკებმა 30 აპრილს კორინთოს ყურის ნაპირიდან სროლა აუტეხეს მტრის სატრანსპორტო გემებს. ერთი გემი ჩაძირულია, მეორე დაგვნებდა.

ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანიისა და იტალიის ყუმბარმშენი ავიაციის დიდმა შენაერთებმა წარმატებით მიიტანეს იერიში ტობრუკის გარშემო არსებულ სიმაგრეებზე. ბომბარდირების შედეგად მწყობრიდან გამოყვანილია მტრის ბატარიები და პილასტროს ფორტში და საომარი მასალის საწყობებში გამოწვეულია დიდი ძალის აფეთქება. მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს მოსპობილია მტრის „ჰარიკეინის" ტიპის 4 ავიაგამანადგურებელი და მიწაზე მოსპობილია ერთი თვითმფრინავი.

გერმანიის საზღვაო არტილერიამ ხმელთაშუა ზღვაში მოსპო ინგლისის 4 ტორპედოსანი თვითმფრინავი.

გერმანიის მზვერავმა თვითმფრინავებმა წარმატებით მიიტანეს იერიში ინგლისის სამხრეთ სანაპიროს სამხედრო ქარხანაზე და პლიმუტის სამხრეთით ჩასძირეს ერთი სავაჭრო გემი. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შორსმსროლელმა არტილერიამ ეფექტურად დაუშინა ყუმბარა დუვრის ნავსადგურში მყოფ გემებს. 1 მაისს ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა კვლავ დააყარეს ლივერპულს ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარა. ბევრ ადგილას გაჩნდა დიდი ხანძარი, რომელსაც თან სდევდა აფეთქება როგორც ნავსადგურის რაიონში, ისე თვით ქალაქში. გერმანიის ავიაციის შემდგომი იერიშები მიმართული იყო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის ნავსადგურების, სამრეწველო ნაგებობათა და აეროდრომების წინააღმდეგ. ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზა სკაპა-ფლოუს თავზე ჩამოგდებულ იქნა ორი ჰაერგამაღლობი აეროსტატი.

გერმანიის ტერიტორიაზე არც დღისით და არც ღამით მტრის ავიაციის საჰაერო ოპერაციები არა ყოფილა.

იტალიის ცნობა

რომი, 1 მაისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ გუშინ იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა კუნძულები კეფალინია და ზაკინფო დაიკავეს. ალბანეთიდან მოსულმა ქვეითი ჯარის ნაწილებმა დღეს დილით კუნძული ლევკასი დაიკავეს.

იტალიისა და გერმანიის თვითმფრინავები განაგრძობდნენ ლავალეტის ბაზის (მალტის კუნძული) გააფთრებულ ბომბარდირებას, ამასთან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს მას და ხანძარი გამოიწვიეს.

ეგეოსის ზღვაში იტალიის ნაღმოსნებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის გემების ქარავანზე, რომელიც ძლიერი ბადრაგის თანხლებით მიდიოდა. დაზიანებულია მოწინააღმდეგის 1 კრეისერი და 1 დიდი საესკადრო ნაღმოსანი. იტალიის ნაღმოსნებს ზარალი არ მოსვლიათ.

ჩრდილოეთ აფრიკაში იტალია-გერმანიის რაზმებმა, რომელნიც სოლუმის აღმოსავლეთით დაზვერვას ახდენდნენ, უკუაგდეს მოწინააღმდეგის ძალები, ამასთან მოსპეს ჯავშნიანი მანქანები. გერმანიისა და იტალიის საჰაერო შენაერთებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარა ტობრუკის გამაგრებულ პოზიციებსა და ნავსადგურს.

აღმოსავლეთ აფრიკის სხვადასხვა სექტორში ბრძოლა გრძელდება; განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლაა ამბა-ალაგის სექტორში. ასაბთან მოწინააღმდეგის ერთი დამხმარე კრეისერი ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა.

რომი, 2 მაისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ იტალიის თვითმფრინავებმა მალტის კუნძულზე ყუმბარა დაუშინეს ლავალეტის სანავსადგურო ნაგებობებს. მალტის კუნძულზე მომხდარი საჰაერო ბრძოლების დროს გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს ინგლისის „ჰარიკეინის" ტიპის 3 თვითმფრინავი.

ჩრდილოეთ აფრიკაში სოლუმის სექტორში, იტალია-გერმანიის ჯარის ნაწილები და ავიაცია აქტიურობას იჩენენ. გერმანიის თვითმფრინავებმა დაბლა ფრენით დაუშინეს ყუმბარა მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ნაწილებს, თავმოყრილ ჯარსა და ბატარიებს. იტალიისა და გერმანიის თვითმფრინავები ტობრუკის თავდაცვით სიმაგრეთა ბომბარდირებას განაგრძობენ. აქ იტალიის ჯარის მიწოლა ძლიერდება. ინგლისის ავიაცია დერნასა და ბენგაზს დაესხა. მსხვერპლი არ არის, გამოწვეულია უმნიშვნელო ნგრევა.

აღმოსავლეთ აფრიკაში არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის არმიის სარდლობის კომუნიკე

ლონდონი, 1 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის არმიის სარდლობის კომუნიკეს. როცა აშკარა გახდა, — ნათქვამია კომუნიკეში, — რომ საბერძნეთის არმიის მიერ გერმანიის შემოსევისადმი წინააღმდეგობის გაწევა შეწყდა, საბერძნეთის მთავრობამ წინადადება მოგვცა გაგვეყვანა საბერძნეთიდან იმპერიის ჯარის კონტინგენტები, რომლებიც საბერძნეთის დასახმარებლად იყვნენ გაგზავნილნი. ამ დროს იმპერიის ჯარი მოწინააღმდეგის პირისპირ იდგა თერმოპილის კლდეკარში, საიდანაც მან დაიხია თავისი წინანდელი პოზიციებიდან. მოწინააღმდეგემ, რომელსაც რიცხვობრივად მეტი ავიაცია ჰყავდა, თავისი სრული ბატონობა დაამყარა ჰაერში. არაერთგზისი საჰაერო თავდასხმის გამო შეუძლებელი იყო გამოგვეყენებინა ევაკუაციისათვის ერთადერთი გამოსადეგი ნავსადგური პირეი, ათენის მახლობლად. ამასთან დაკავშირებით გემებზე ჯარის გადასხმა უშუალოდ სანაპიროდან ხდებოდა, მოწინააღმდეგის ხმელეთის ძალთა განუწყვეტელი მოძალებისა და გააფთრებული საჰაერო თავდასხმის პირობებში. ასეთ პირობებში ჯარის დიდი რაოდენობის ევაკუაცია მხოლოდ მოტორიზებულ საშუალებათა და საჭურვლის დაკარგვის ხარჯზე შეიძლებოდა მომხდარიყო. ამასთან ერთად არიერგარდებს, რომელნიც ამ უკანდახევას იცავდნენ, თითქმის უსათუოდ უნდა გაეწირათ თავი დანარჩენი ჯარის ევაკუაციის უზრუნველსაყოფად. უკანასკნელი კვირის განმავლობაში საბერძნეთიდან იმპერიის ჯარის ევაკუაცია უაღრესად მძიმე პირობებში ხდებოდა.

ამჟამად ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი გამოვაქვეყნოთ ზუსტი ცნობები, მაგრამ ცნობილია, რომ საბერძნეთს გაგზავნილი იმპერიის არმიის შემადგენლობის 80 პროცენტი მაინც მიყვანილია ისეთ რაიონებში, სადაც ეს ჯარი შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდგომი ოპერაციებისათვის.

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკე

ლონდონი, 1 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ 30 აპრილს ინგლისის ავიაციამ ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა მტრის თავმოყრილ ჯარს და მოტოტრანსპორტს კირენაიკაში. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ, განსაკუთრებით გამბატის რაიონში, სადაც გააფთრებული საჰაერო იერიშის შედეგად მწყობრიდან გამოყვანილ და დაზიანებულ იქნა მოწინააღმდეგის სულ ცოტა 100 ავტომანქანა, რომელთაგან 30 მანქანას ჯარი გადაჰყავდა.

ზოფათის რაიონში ინგლისის ავიაგამანადგურებელმა საჰაერო ბრძოლის დროს სერიოზულად დააზიანა მტრის 2 თვითმფრინავი. მოწინააღმდეგის 1 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა გამბატის რაიონში.

ინგლისისა და სამხრეთ-აფრიკის თვითმფრინავებმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის მოტოტრანსპორტს ასაბის მახლობლად (ერიტრეა) და შაშამანის რაიონში (აბისინია). მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მივაყენეთ. გარდა ამისა, ყუმბარა და ტყვიამფრქვევი დავუშინეთ მაჯის ჩრდილოეთით მდებარე ბანაკს. ინგლისის თვითმფრინავებმა საბერძნეთიდან ჯარის ევაკუაციის დროს მოახდინეს აგრეთვე მრავალი საპატრულო ფრენა. 3 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

ინგლის-ერაყის ურთიერთობა

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ოფის (ჰავასის) სააგენტოს ბაღდადელი კორესპონდენტის ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ ერაყის მთავრობას აცნობა თავისი განზრახვა გადასხას ბასრაში საიმპერიო ჯარის კონტინგენტი. —ერაყის მთავრობის აზრით კი, — ნათქვამია შემდეგ ცნობაში, — ახალი ჯარის გადასხმა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბასრაში ამ ცოტა ხნის წინათ გადასხმული ჯარის პირველი კონტინგენტი ერაყის ტერიტორიას გაივლის. ამ ნიადაგზე ინგლისსა და ერაყს შორის უთანხმოება წარმოიშვა.

ამასთან დაკავშირებით რეიტერის სააგენტო განმარტავს, რომ, როგორც ლონდონის წრეებში აცხადებენ, თავის დროზე ბასრაში გადასხმული ინგლისის საიმპერიო ჯარის მთავარი მიზანია „ერაყზე საკომუნიკაციო ხაზების დამყარება ინგლის-ერაყის ხელშეკრულების შესაბამისად". სააგენტო აღნიშნავს, რომ ერაყის მთავრობის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ინგლისის ახალი ჯარის გადასხმა არ შეიძლება მოხდეს მანამდე, სანამ საიმპერიო ჯარის ნაწილთა წინათ გადასხმული კონტინგენტები არ გაივლიან ერაყს, „ლონდონში ამ ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულების პირობებთან შეუთავსებლად მიაჩნიათ".

ინგლისისა და ერაყის ჯარების შეტაკება

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 2 მაისს მთელი დღის განმავლობაში ხაბანიის რაიონში ინგლისისა და ერაყის ჯარებს შორის შეტაკება ხდებოდა, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება. სააგენტო მოგვაგონებს, რომ ერთი თვის წინათ, როცა რაშიდ ალი გაილანი ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, მან განაცხადა: განზრახვა მაქვს ინგლის-ერაყის ხელშეკრულება შევასრულოო. ამის შემდეგ ინგლისის მთავრობამ განაცხადა, რომ მას სურს გახსნას ინგლისის ჯარისათვის ერაყზე მიმავალი კომუნიკაციების ხაზი „ერთი წლის წინათ ერაყის მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად". თანხმობის მიღების შემდეგ ინგლისის ჯარი სრულიად უინციდენტოდ გადასხდა ბასრაში. ხოლო როცა რამდენიმე დღის წინათ ინგლისის მთავრობამ ერაყის ხელისუფლებას აცნობა — განზრახვა მაქვს ჩემი ჯარის ახალი კონტინგენტი გამოვგზავნოო, ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, ინგლისის ჯარს ერაყში აღარ შემოვუშვებო. ერაყის ხელისუფლებამ, — იუწყება რეიტერის სააგენტო, — თავი მოუყარა ჯარს ხაბანიის გარშემო და ერაყის სარდალმა ინგლისელ ოფიცერს გადასცა განცხადება, რომ ხაბანიის რაიონში ინგლისის ჯარის მოძრაობა და ინგლისის თვითმფრინავების ფრენა აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ყუმბარებს დავუშენთო. ინგლისის წარმომადგენელთა მოთხოვნა, რომ ხაბანიის რაიონში კონცენტრირებული ერაყის ჯარი უნდა გაეწვიათ, უპასუხოდ დარჩა. სწორედ ამან გამოიწვია ინგლისისა და ერაყის ჯარების შეტაკება.

[illegible]

ლვოვის ჯაზი თბილისში

[illegible] საბალეტო წყვილი ჯონ სტონი და ლ. ვარენი, მომღერლები — რ. იაროსევიჩი და ა. გარისი, კონფერანსიე—მ. შვიდლერი და გ. ბორუცკი.

ლვოვის ჯაზის საგასტროლო კონცერტები დაიწყო 1 მაისს სახესტრადის საზამთრო თეატრში. ჯაზი დიდი ოსტატობით ასრულებს რთულსა და მრავალფეროვან, საინტერესოდ შედგენილ პროგრამას. ცალკე ნომრებიდან ყურადღებას იპყრობს ტიროლური სიმღერები (ე. წ. ლოდელის სიმღერები), [illegible] შვიდლერისა და გ. ბორუცკის კონფერანსი გამოირჩევა ენამახვილობით, ხალისით, უშუალობით.

მთლიანად კონცერტი დიდი წარმატებით სარგებლობს. თბილისის მაყურებელმა ლვოვის ჯაზი გულთბილად მიიღო. 4, 5 და 6 მაისს სახესტრადის საზამთრო დარბაზში გრძელდება საგასტროლო კონცერტები ახალი პროგრამით.

გ. რინელი

მაისობა მცხეთასა და ხუდადოვის ტყეში

2 მაისს საქართველოს სამხედრო გზაზე არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ასფალტირებული გზით მცხეთისაკენ მიჰქროდნენ ავტობუსები, ავტომანქანები, მოტოციკლები, ველოსიპედები — საზეიმოდ მორთული თბილისელი მშრომელები მცხეთისაკენ სამაისოდ მიეშურებოდნენ.

მცხეთის ამწვანებულ პარკსა და ნაირფერადი ყვავილებით დამშვენებულ გორაკებზე სამაისოდ თავმოყრილი მუშა-მოსამსახურენი, კოლმეურნენი და მოსწავლე ახალგაზრდები ხალისიანად ატარებდნენ მაისობას.

ირგვლივ გუგუნებდა სიმღერა. დოლისა და ზურნის ხმაზე გატაცებით უვლიდნენ ლეკურს, იქვე ახლობლად ახალგაზრდა გლეხი ფანდურზე დაჰღიღინებდა და იუმორით სავსე საკოლმეურნეო შაირებით გულიანად აცინებდა მსმენელებს. ყველა ერთობოდა, მხიარულობდა...

ასევე მრავალფეროვანი და მხიარული იყო თბილისის მშრომელთა მაისობა ხუდადოვის ტყეში, სადაც ზეიმმა საღამომდე გასტანა.

კულტურისა და დასვენების პარკების გახსნა

1 მაისს გაიხსნა თბილისის სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც მშრომელთა გართობისა და დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

2 მაისს მრავალრიცხოვანი მაყურებლისათვის აქ მოეწყო დიდი საღამო-კონცერტი. აგრეთვე საინტერესოდ ჩატარდა ფიზკულტურელთა საჩვენებელი გამოსვლები.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში 1 და 2 მაისს პროგრამაში იყო საბჭოთა საქართველოს სიმღერები და ცეკვები სახელოვნო ანსამბლების შესრულებით. გარდა ამისა, 2 მაისს აქ ჩატარდა დიდი მასობრივი სეირნობა ბავშვთათვის.

ორივე პარკი სეზონისათვის კარგად არის მომზადებული.

ცხენთა გამოცდის პირველი დღე

„სეზონის გახსნის" ჯილდო „რუფატმა" მოიგო

2 მაისს ჯიშიან კვიცთა პარადით დაიწყო თბილისის იპოდრომზე ცხენთა გამოცდის საგაზაფხულო სეზონი. პარადში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ცხენსაშენებისა და კოლმეურნეობათა 40 ცხენმა.

საინტერესოდ ჩაიარა მე-4 დოღმა, რომელშიაც გათამაშებულ იქნა ჯილდო 1.600 მეტრ დისტანციაზე მაღალი სისხლის სამწლიანი ცხენებისათვის. პირველი მოვიდა აზერბაიჯანის № 75 ქარხნის ცხენი „სამარა" (ჟოკეი ხ. იმანაევი, ტრენერი ქიაზიმ-ოღლი), რომელმაც 1.600 მეტრი 1 წუთსა და 52 წამში გაირბინა.

მე-5 დოღში 1.600 მეტრ დისტანციაზე გათამაშებული იქნა „სეზონის გახსნის" ჯილდო — საქართველოს კოლმეურნეობათა ჯიშიანი ცხენებისათვის. დაძაბული ბრძოლით პირველმა გაირბინა დისტანცია 2 წუთსა და 06 წამში ბორჩალოს რაიონის სოფ. კაჩაგანის კოლმეურნეობა „სოციალიზმის" ცხენმა „ხანუმმა" (მხედარი ი. ჩიქლაძე, ტრენერი ი. ოსიპიანი).

„სეზონის გახსნის" ჯილდოზე 2.000 მეტრ დისტანციაზე წმინდა სისხლის სამწლიანი ცხენებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცხენის ქარხნების საუკეთესო ცხენები, სტარტიდან [illegible] „რუფატი" (აზერბაიჯანის ქარხანა, ჟოკეი ხ. იმანაევი), რომელიც მოიგო დოღი. ზემოხსენებული დისტანცია მან 2 წუთსა და 22 წამში გაირბინა. მეორე მოვიდა ყულარის ქარხნის ულაყი „ტოლუმბაში".

მაღალი სისხლის ორწლიანი ცხენებისათვის დანიშნული საცდელი ჯილდო მოიგო „მოსკიტმა" (უკრაინის სსრ, ვოროშილოვის სახელობის ქარხანა, ჟოკეი ი. სემიონოვი), რომელმაც დისტანცია 1 წუთსა და 23 წამში გაირბინა.

პირველ დღეს შესდგა 8 დოღი.

11 მაისს ცხენთა გამოსვლის მეორე დღეა. (საქინფორმი).

„მეფე ლირის" პრემიერა ქუთაისის თეატრში

30 აპრილს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს უჩვენა მორიგი პრემიერა — ვ. შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი" (თარგმნილი ილ. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბელის მიერ). სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ორდენოსანმა რეჟისორმა დ. ანთაძემ, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის პროფ. დ. კაკაბაძეს, მუსიკა ა. მელივიძე-უხუცესს.

სპექტაკლი „მეფე ლირი" ქუთაისის თეატრის დიდი მხატვრული მიღწევაა. — იგი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. სპექტაკლი გამოირჩეოდა მაღალი აქტიორული შესრულებით. დიდი წარმატება ხვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტს ორდენოსან ალ. იმედაშვილს, რომელიც ასრულებდა მეფე ლირის როლს, რესპ. დამსახურებულ არტისტს ც. ამირეჯიბს (გონერილა), რესპ. სახ. არტისტს ი. ზარდალიშვილს (ედგარი), რესპ. დამს. არტისტს ვ. ჩხიკვაძეს (გლოსტერი) და სხვ.

სპექტაკლის შემდეგ თეატრის კოლექტივს მაყურებლებით სავსე დარბაზმა მხურვალე ოვაციები მოუწყო.

მეორე გამარჯვება

3 მაისს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისისა და მინსკის „დინამოს" ოსტატთა საფეხბურთო გუნდებს შორის.

პირველი ტაიმის მე-2 წუთზე ძლიერი დარტყმით ანჯაფარიძე გახსნა თბილისელთა ანგარიში. ამის შემდეგ ტაიმიანი თამაში ცვალებადი უპირატესობით. შეტევებში გუნდი მხარეს თავდასხმა დაღლილობა დაეტყო. ტიმი შენელდა და თამაში დაჭიანურდა.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში აქტიურობას იჩენდნენ სტუმრები. თბილისელთა რამდენიმე საშიში შეტევის შემდეგ თამაში კვლავ მოდუნდა. მაგრამ დროებით. სრული გარდატეხა დაიწყო მე-20 წუთზე. თბილისელებმა განსაკუთრებით ტემპიანი თამაშით სრული უპირატესობა მოიპოვეს. მე-28 წუთზე ბერიძეშვილისაგან მიღებულ ბურთს ჯეჯელავა აწოდებს პაიჭაძეს, რომელიც ძლიერი „შუტით" მარჯვენა კუთხეს არღვევს. თბილისელთა შეტევა კვლავ გრძელდება და მე-40 წუთზე მედგარი იერიში: პაიჭაძე-ბერიძის კომბინაცია ისევ პაიჭაძის დარტყმით მთავრდება—ანგარიში 3:0.

> დღეს, 4 მაისს, საღამოს 7 საათზე, „კომუნისტის" რედაქციასთან არსებულ მუშკორთა კაბინეტში (ლენინის ქ. 28, მეოთხე სართული, ოთახი 17) შესდგება ძირეული პრესის მუშაკთა გადასამზადებელი კურსების მსმენელთა **მორიგი მეცადინეობა.**
>
> მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

რადიოგადაცემა დღეს

12.00—პოპულარული მუსიკის კონცერტი; 12.58—დროის შემოწმება; 13.00—უკანასკნელ ცნობათა ტრანსლაცია მოსკოვიდან; 13.15 — კონცერტი; 16.50 —გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის; 17.45 — საუბარი თემაზე: „ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღე"; 18.00—კონცერტი; 18.55 — ინფორმაციები; 19.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.45—კამერული კონცერტი რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან; 21.15—საუბარი თემაზე: „დავიცვათ ტექნიკური დისციპლინა, ვიმუშაოთ გრაფიკის მიხედვით"; 21.30—ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე (მ. ლერმონტოვის ლექსები); 22.00—უკანასკნელ ცნობათა ტრანსლაცია მოსკოვიდან; 00.08—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, 26 კომ. სახ. და კომინტერნი — „კალიშვილი გაღმიდან", დამკვრელი — „წმინდა იორგენის დღესასწაული", კომკავშირელი — „საყვარელი ქალიშვილი", სპარტაკი — „ბოგდან ხმელნიცკი", ლუქსემბურგის სახ. — „კონდოლიარი", განთიადი—„ბოგდან ხმელნიცკი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

6 მაისს — მე-5 აბ. მე-13 წარმ. — **ბახჩისარაის შადრევანი**

7 მაისს — **ევგენი ონეგინი** — მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის, დამსახ. არტისტის, ორდენოსან ი. დ. კრუგლიკოვას მონაწილეობით

8 მაისს — მე-9 აბ. მე-9 წარმ. — **ქეთო და კოტე**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი — 1940-41 წ.წ. სეზონი

6 მაისს — **მარგარიტა გოტიე**

7 მაისს — **კრემლის კურანტები**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

დაკარგულია ავტოსალიმიტო წიგნაკი № 283, გაცემული „ავტოტრაქტორსბიტის" მიერ საჯავრემშენტრესტის სახელზე. ბ. გ. 11723

დაკარგულია თბილისის საბჭოს ვეტინსპექციის საწველი საჩვენებელი სამედროს სახელმწიფო სარეგისტრაციო ფურცელი ფორმა № 1, გატარებულია სავეტეტ-ფო რეგისტრაციაში 1937 წ. 27/I. ბ. გ. 11647

საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი აუწყებს ყველა საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს,

რომ სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მიერ მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის შესახებ მიღებული კანონის მე-30 მუხლის საფუძველზე ისინი ვალდებული არიან რაიონულ (საქალაქო) საფინანსო განყოფილებებს გადასახადით დასაბეგრავად მიაწოდონ ყოველი თვის 15 რიცხვისათვის ცნობები მოქალაქეებზე წინა თვეში გაცემული თანხების შესახებ მათგან შესყიდულ ნაწარმზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, აგრეთვე მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთათვის, გაწეული მომსახურებისათვის და სხვ.

ეს ცნობები წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი ფორმის მიხედვით:

დანართი სსრკ ფინსახკომის 1940 წ. 2/IX-ს ბრძანებისა № 651/221

ფორმა № 5

ცნობები მოქალაქეებზე გაცემული თანხების შესახებ მათგან ნაყიდ ნაწარმზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და აგრეთვე შესრულებულ სამუშაოთათვის და გაწეული მომსახურებისათვის.

1. საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება და მისამართი . . . . ბუხჰალტერიის ტელეფონის №
2. იმ პირის გვარი, სახელი და მამის სახელი, რომელზედაც გაიცა თანხა . . .
3. მისი პასპორტის № (გაცემის თარიღი) და ვის მიერ არის გაცემული . . .
4. საცხოვრებელი ადგილი, თანახმად პასპორტში ჩაწერისა . . .
5. გაიცა 194 . . წ. . . . . მანეთი . . . კაპიკი.
6. რისთვის მიეცა . . .
7. ვისი მასალით სრულდება სამუშაო . . .
8. რა დროისთვის (სამუშაო დღეების რიცხვი) . . .

194 . . წ.

ცნობის მიმცემის პირის ხელის მოწერა:

არ უნდა იქნეს წარმოდგენილი ცნობები ყოველგვარი გაცემის შესახებ, რომელიც იბეგრება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის, ლიტერატორების და ხელოვნების მუშაკთა ნაშრომების დაბეგვრისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადის კანონის მე-33 მუხლის თანახმად მოქალაქეთა გადასახადით დასაბეგრავად საჭირო ცნობების არა თავის დროზე ან არასრულად წარმოდგენისათვის პასუხისმგებელი პირები დაჯარიმებული იქნებიან 100 მანეთამდე.

არასწორი ცნობების წარდგენა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით.

134 — **საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი.**

საბჭოთა ვაჭრობის სრულიად-საკავშირო დაუსწრებელი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

აცხადებს ინსტიტუტში მიღებას 1941—42 სასწავლო წელს

ქართულ და რუსულ სექტორებზე, შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. საქონელმცოდნეობისა.
2. სააღრიცხვო-ეკონომიური.
3. სავაჭრო-ეკონომიური.

ინსტიტუტი ამზადებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს: ეკონომისტ-საქონელმცოდნეებს სამრეწველო და სასურსათო საქონლის გარგზე, ეკონომისტ-ბუხჰალტრებს და ეკონომისტ-მეგეგმავებს.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1/VIII-დან 20/IX-მდე. საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე შემსვლელთათვის: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში. სააღრიცხვო-ეკონომიურ და სავაჭრო-ეკონომიურ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში, სსრკ ხალხთა ისტორიაში და გეოგრაფიაში.

კითხვების გაგება და განცხადებების მიღება ფილიალის კანცელარიაში დღის 4-დან ღამის 12 საათამდე. თბილისი, მარქსის ქ. № 42.

144 — ფილიალის დირექტორი **ნ. ნოზაძე.**

ქარხანა სამუშაოზე იღებს შემდეგი სპეციალობის მუშებს:

1. მემრუდთარგე-ზეინკლებს
2. ხარატებს
3. მლესველებს

ცნობისათვის მიმართეთ: რუსთაველის № 22, მე-4 სართული, ტელეფონი 3-48-92 ყოველდღე საღ. 6-დან 10 საათამდე გარდა დასვენების დღეებისა.

3—1 143 — **დირექცია.**

კინოსტუდიას ესაჭიროება:

1. მკერავები თავისი საკერავი მანქანებით,
2. ბუტაფორები, 3. მქარგავები

მიმართეთ კადრების სექტორს, პლეხანოვის პროსპ. 164, ოთახი № 12.

154

თბილისის ხელმწიფო კონსერვატორია — გრიბოედოვის ქუჩა № 8, ტელ. 3-01-14

აცხადებს სტუდენტების ღებას 1941/42 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობაზე:

საკომპოზიტორო — საფორტეპიანო
ისტორიულ-თეორიული — სიმებიანი და სასულე
ვოკალური

განცხადება მიიღება 5 ივნისამდე.

მისაღები გამოცდები 14-დან 20 ივნისამდე. მიიღება ის, ვისაც დამთავრებული აქვს მუსიკალური სასწავლებელი და მუსიკალური ათწლედი.

ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღიურად კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის მდივანთან.

142

დ. ჩიკვაიძე, ი. მაღალაშვილი, ბ. ცერეკიძე, კაციტაძე, ფუთიერი, მაღალაშვილი, ლეკიშვილი, ლეჟავა, ქასრაშვილი, ლეჟავა, მარდალეიშვილი, ნადირაძე, წულუკიძე, ქიქავიძე, ობიძე, ცერეკიძე, საბელაშვილი უწყებიან **შალვა გუნიავა**ს გარდაცვალებას. 11753

ძმა ალექსანდრე, რძალი, ძმისწულები სოლომონი, ტატო და ფარუმშეიშვილები იუწყებიან **ნინო სოლომონის-ასულ ააბერის** გარდაცვალებას. 11751

ტყუბულნახშირის ტრესტის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ლენინის სახელობის შახტის მთავარი მექანიკოს-ინჟინერ **შალვა ივანეს-ძე ნიავას** გარდაცვალებას. 11754

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჯანმრთელობის და ქირურგიული ბრიგადის ინსტიტუტის თანამშრომლები: პ. ჭიფი, ი. შენგელია, გ. ფიცხელაური, ა. კვანტალიანი, ა. ჩუბინაშვილი, კორკოტაშვილი იუწყებიან ორდენოსანი პროფესორის **ალექსანდრე ვაჩეიშვილის** გარდაცვალებას. 11757

მშობლები სოლო, თემური, ძმა შალვა, და მარო, რძალი ეკატერინე, ძმისწულები იამზე, ჯამბულ ნეფარიძეები იუწყებიან **სოსო სილოვანის-ძე ნეფარიძის** გარდაცვალებას. 11758

მეუღლე ვერა, შვილი ცისანა იუწყებიან **სოსო სილოვანის-ძე ნეფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4/V 8 ს. პანსკევიჩის, 19. დაკრძალვა 6/V 6 ს. კუკიის სასაფლაოზე. 11758

გ. გორგიძე, ნაჭყებია, სახელაშვილი, გორგიძე, ჩიკვაიძე, ვ. ქარქაშაძე, ცქიფურიშვილი, ფანჩულიძე, ჩიხლაძე, ქარჩაშაძე, ტერჩნიშვილი, კუპრავა, თოლაძე, ვაშაძე, კოლომეიცევა, სოფრომაძე, ცერცვაძე, კობახიძე, ბასილაძე, ბაქრაძე იუწყებიან **შალვა გუნიავას** გარდაცვალებას. 11752

ლიზა, ტიტიკო, პიერ, პაატა, ნინუშა კობახიძეები, რძლები შურა, ოლია, ლილია, სარა, ლინა შვილები იუწყებიან დიდის **იუსტინა კობახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5/V 8 ს. ლენინის, 85, დაკრძალვა 6/V 6½ ს. 11759

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3-62-26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3-63-03; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67; პ/მგ მდივნის მოადგილისა — 3-06-88; განყოფილებების: პარტიული და პროპაგანდის — 3-81-84; სასოფლო-სამეურნეო — 3-73-40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3-80-83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3-80-84; სამხედრო — 3-57-61; წერილების — 3-73-24. პ/მგ ჰორიზისა და გამომცემლობის — 3-81-65; გამომცემლობის — 3-51-81; სტამბის დირექტორის — 3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28.

უე 18177